

**ძრავის შემკეთებელი 040770
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

ავტომობილის ძრავის შემკეთებელის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება საინჟინრო მიმართულების ტრანსპორტის დარგს და დაკავშირებულია ავტომობილის ძრავის მექანიზმებისა და დამხმარე სისტემების ტექნიკური მდგომარეობის აღდგენასთან და მომსახურებასთან. ავტომობილის შეკეთების სწორი ორგანიზებისა და სამუშაოების კვალიფიკაციურად შესრულების შედეგად იზრდება ავტომობილის მუშაობის ხანგრძლივობა და რემონტებს შორის გარბენი, მაღლდება მოძრაობის უსაფრთხოება და უმჯობესდება ეკოლოგიური მაჩვენებლები.

II. დასაქმების სფერო

ავტომობილის ძრავის შემკეთებლის დასაქმების სფეროს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ტიპის სერვისცენტრები, ავტოპროფილაქტორიუმები, კერძო საწარმოები და სახელოსნოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ავტოსარემონტო სამუშაოების შესრულებას.

III. დამატებითი მოთხოვნები

- პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
- მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა;
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ავტომობილის ძრავის შემკეთებლის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV, V საფეხურები), რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება, შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ძრავის შემკეთებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ძრავის შემკეთებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ძრავის შემკეთებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ძრავის შემკეთებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილის შიგაწვის ძრავის აგებულება და შეკეთების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები, მათი თანმიმდევრობა. • ავტომობილის შიგა წვის ძრავის შეკეთების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები. მათი თანმიმდევრობა. კერძოდ, იცნობს შიგა წვის ძრავებს, მათ კლასიფიკაციას/კარბურატორიანი, დიზელის, გაზბალონიანი/ძრავის მექანიზმების, კვების სისტემისა და დამხმარე სისტემების მოწყობილობას, დანიშნულებას და მუშაობის პრინციპს; ავტომობილიდან ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების მოხსნის პროცესს, მისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს. ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების ტექნიკურ მდგომარეობაზე მოქმედი ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები და მისი ცვლილებების მიზეზები. მათი შეკეთების ტექნოლოგიური პროცესის ძირითადი პრინციპები, ძრავის სისტემების და ძალოვანი აგრეგატების მუშაობის პრინციპების თავისებურებები, მათი აწყობის ტექნოლოგიური რუკა, ტექნიკური პირობების მოთხოვნები, გამოყენებული მოწყობილობა–დანადგარები • სათადარიგო დეტალების შემოწმების მეთოდები, • შრომის უსაფრთხოების წესები და ორგანიზაცია.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>დამოუკიდებლად შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ავტომობილიდან ძრავის სისტემებისა და ძალოვანი აგრეგატების მოხსნის სამუშაოების შესრულება სათანადო ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენებით, ცალკეული აგრეგატების დაშლა კვანძებად და დეტალებად შრომის უსაფრთხოების წესების დაცვიძრავისა და ძალოვანი აგრეგატების ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, კვანძებისა და დეტალების ვარგისიანობის დამოუკიდებლად შეფასება, კომპლექტაცია, შეკეთება, აწყობა, გამოცდა, გასახმარისება, ადგილზე მიყენება ტექნოლოგიური რუკებისა და ტექნიკური პირობების მოთხოვნების შესაბამისად. სამუშაო ადგილის ორგანიზაცია უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების გათვალისწინებით.

დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძრავისა და ძალოვანი აგრეგატების სარემონტო სამუშაოების შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად ათვისებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენება. განსხვავებული კონსტრუქციის მექანიზმის შესაკეთებლად სანდო ინფორმაციის მოძიება, ანალიზი და შესაბამისი მეთოდის გამოყენების შესახებ დასკვნის გაკეთება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • არასტანდარტულ სიტუაციაში, ძრავის გამართულობაზე და მის რემონტზე ინფორმაციის მიღება და მიწოდება, • საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციის მოძიების მიზნით.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	<p>აქვს უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> • სისტემატიურად გაიღრმავოს ცოდნა სიახლეების შესახებ ძრავების სისტემებში. შეისწავლოს სხვადასხვა მარკის ავტომობილების ძრავების მოდიფიკაციები და მექანიზმების კონსტრუქციები. • გამოცდილი სპეციალისტებისგან სწავლა დაკვირვებით და მათი გამოცდილების გაზიარებით. დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი პროფესიული განვითარების მიმართულებები.
ღირებულებები	გათავისებული აქვს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	<p>აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობას და პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერი დავალების შესრულებას. კოლეგებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობისას იცავს ეთიკის ნორმებს. განსხვავებულ სიტუაციებშიც ყურადღებით ეკიდება შესასრულებელი სამუშაოს ყველა დეტალს. იცავს შრომისა და გარემოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს.</p>

ძრავის შემკეთებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	იცის ძრავსა და ძალოვანი აგრეგატის მექანიზმებში დეტალების ურთიერთმეცვლადობის, ჩასმებისა და დაშვებების პრინციპები: სხვადასხვა ფორმისა და მოდელის ავტომობილების ძრავების, გადაბმულობის, ავტომატური და მექანიკური სიჩქარეთა კოლოფების კონსტრუქციის თავისებურებები და მათი შეკეთება. შეუძლია დეტალების და მარტივი კონსტრუქციული ელემენტების ესკიზების შედგენა და მათი წაკითხვა ნახაზების მიხედვით, მექანიზმებისა და კვანძის აწყობა ტექნიკური პირობების სრული დაცვით. იცნობს სამუშაოთა შესრულების ოპერაციულ სისტემას და მომსახურების რეჟიმებს, შრომის ორგანიზაციას და სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობის პრინციპებს: აქვს მეწარმეობისა და ზოგადი მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ძრავის მექანიზმების, სისტემებისა და ძალოვანი აგრეგატების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა: დიაგნოსტიკის თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მეშვეობით ოპერატორის მიერ გამოვლენილი უწყისვრობების აღმოფხვრა. ძრავის შემკეთებელთა ბრიგადის სამუშაო პროცესის ხელმძღვანელობა.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი	შეუძლია ტექნიკური მომსახურების პროცესში წამოჭრილი სპეციფიკური პრობლემების გადაჭრისას ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება, შეფერხებებისა და წინაღობების მიზეზების ანალიზი და სათანადო პროფილაქტიკური სამუშაოების წარმართვა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენებზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია კლიენტებთან და მასალების მომწოდებელთან არასტაბილურ სიტუაციაში ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ავტომობილის ძრავის რემონტსა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შეუძლია უცხოურ ენაზე გაეცნოს სხვადასხვა მარკის ავტომობილები ძრავის ტექნიკურ მონაცემებსა და ექსპლუატაციის წესებს.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა, განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	აქვს უნარი, დამოუკიდებლად ათვისოს საავტომობილო ინდუსტრიაში მიმდინარე სიახლეები და ძრავების დიაგნოსტიკისა და რემონტის ახალი ტექნოლოგიები. შეუძლია ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების შესახებ და განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	ცვალებად სიტუაციებში შეუძლია დიდი პასუხისმგებლობით მიუდგეს დაკისრებულ მოვალეობებს და მაღალი ხარისხით შეასრულოს სამუშაო.

ძრავის შემკეთებლის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს(საზღვრებს)</p>	<p>იცის თანამედროვე ავტომობილების ძრავებისა და ძალოვანი აგრეგატების, წარმოების და ექსპლუატაციის მოწინავე ტექნოლოგიები. იცნობს საბორტე დიაგნოსტიკის მეთოდებსა და ფორმებს. უწესივრობის აღმოჩენის კომპიუტერულ პროგრამებს, დიაგნოსტიკურ ნიშნებსა და პარამეტრების ნომერკლანტურას მექანიზმებისა და კვანძების მიხედვით მიხედვით, შეუძლია რთული კონსტრუქციული ნახაზების წაკითხვა. აგრეგატების, კვანძების მექანიზმების აწყობა, შემოწმება და კონტროლი; უცხოურ ენაზე საჭირო ინფორმაციის მოპოვება კონსტრუქციისა და ექსპლუატაციის წესების შესახებ. ფლობს ლითონმცოდნეობის, საექსპლუატაციო მასალების და თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძვლებს. გაცნობიერებული აქვს შრომის მოწყობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვს შედეგები. იცის მეწარმეობისა და მენეჯმენტის საფუძვლები.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია ძრავის, მისი სისტემებისა და აგრეგატების, მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის დადგენა თანამედროვე საკონტროლო და სადიაგნოსტიკო საშუალებების გამოყენებით; აგრეგატების მტყუნებების, უწესივრობების გამოვლინება და აღმოფხვრა რეგულირებით ან დეტალების შეცვლის გზით; ძრავის შემკეთებლების ბრიგადის ორგანიზება და ხელმძღვანელობა; ტექნიკური მომსახურების პოსტის მოწყობა და სამუშაოების ორგანიზაცია, ბრიგადის სამუშაოს შეფასება და ანალიზი.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება</p>	<p>აქვს უნარი ტექნიკური მომსახურების პროცესში მონაცემების იდენტიფიცირებისა და ანალიზის გზით ამოიცნოს დაზიანების სახე, გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა და დასახოს მისი გადაჭრის გზები, შეუძლია ალტერნატიული შესაძლებლობის განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენეზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>აქვს უნარი პროფესიულ განსჯაში. მსჯელობისას დამაჯერებლად იყენებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მონაცემებს. მუდმივად ეცნობა ძრავების სისტემებში მომხდარ სიახლეებს, რისთვისაც იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ძრავის შემკეთებელთა ბრიგადის სამუშაოს შესრულების შეფასება, ანგარიშის მომზადება და წარდგენა როგორც მშობლიურ ასევე უცხოურ ენებზე.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აქვს უნარი სათანადოდ შეაფასოს თავისი პროფესიული საქმიანობის დონე, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მის ათვისებას და რეკლამირებას.